

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის  
ოქმი № 1

ქ.თელავი

17. 01. 2019წ.

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა  
კომისიის თავმჯდომარე ნანა ხვისტანი

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტიტე დარეჯანიშვილი, დავით დაღანიძე, მაია  
მარკოზაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, ზაქარია გრიშკაშვილი.

აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური  
განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი თავბერიძე,  
თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ლევან  
ბერძენაშვილი, საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა  
კომისიაში მოწვეული სპეციალისტი მედეა ჩაფურიშვილი, ქონების მართვის  
საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი ზურაბ ენუქიძე, მოქალაქე მკა  
მოსიაშვილი.

დღის წესრიგი

1. ფრაქცია „ძლიერი სოფელი“-ს სადამფუძნებლო დოკუმენტაციის  
განხილვის შესახებ.

მომხს. ნ. ხვისტანი

2. თელავის მუნიციპალიტეტში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით  
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობის  
გაზრდის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს. ნ. ხვისტანი

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მარტის №39  
დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის აუქციონში გამარჯვების  
დამადასტურებელი ოქმის, პირობებით აუქციონში გამარჯვების  
დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, მონაწილის  
ბილეთისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების

დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ნ. ხვისტანი

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის #18 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ნ. ხვისტანი

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №08 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახდის შემოღების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ნ. ხვისტანი

მოისმინეს: ფრაქცია „ძლიერი სოფელი“-ს სადამფუძნებლო დოკუმენტაციის განხილვის შესახებ.

ნანა ხვისტანმა აღნიშნა რომ წარმოდგენილი სადამფუძნებლო დოკუმენტაცია არ პასუხობს ორგანული კანონის თვითმმართველობის კოდექსის 30-ე მუხლის მოთხოვნებს და შეიცავს ხარვეზებს, კერძოდ წარმოდგენილ მასალებს არ ახლავს ზაქარია გრიშიაშვილის მიერ, პარტია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” დატოვების და სხვა პარტიაში გაწევრიანების დამადასტურებელი დოკუმენტი.

აზრი გამოთქვეს: ზ. გრიშიაშვილმა, ზ. ნაცარაშვილმა და ა. კუპატაძემ განაცხადეს სადამფუძნებლო დოკუმენტაციის უკან გათხოვის შესახებ, ხარვეზის გამოსწორების მიზნით.

გადაწყვიტეს: მოიხსნას დღის წესრიგიდან აღნიშნული საკითხის განხილვა.

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვას: ნანა ხვისტანმა აღნიშნა რომ წარმოდენილი სახით სამართლებრივი აქტის პროექტი მისაღებია.

გადაწყვიტეს: წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის, დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მარტის №39 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, პირობებით აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, მონაწილის ბილეთისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვას: ნანა ხვისტანმა აღნიშნა რომ წარმოდენილი სახით სამართლებრივი აქტის პროექტი მისაღებია.

გადაწყვიტეს: წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის, დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №18 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და მეგლთა დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვას: ნანა ხვისტანმა აღნიშნა რომ წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტი საჭიროებს დახვეწას, შესაცვლელი და დასაკონკრეტებელია აღნიშნული დებულების მე-2 მუხლის „ვ„ პუნქტი.

მედია ჩაფურთხვილმა აღნიშნა რომ საჭიროა შემუშავდეს რეკომენდაცია მითითებული ხარვეზის გამოსწორების მიზნით.

გადაწყვიტეს: წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის, მერიის მიერ ხარვეზის გამოსწორების შემდგომ, დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №08 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახდის შემოღების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

გადაწყვიტეს: წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის, დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

კომისიის თავმჯდომარე: 6



ნანა ხვისტანი